



მონაცემთა გაცვლის სააგენტო

E - GOVERNMENT . GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #20

იანვარი, 2013

გამოშვებაში წაიკითხავთ

- 1 მოქალაქის პორტალს **MY.GOV.GE** რეგისტრაციის ახალი ფორმა დაემატა
- 2 სასწავლო ვიზიტი ავსტრიაში
- 3 ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანია
- 3 2013 წლის მნიშვნელოვანი პროექტები

მოქალაქის პორტალს MY.GOV.GE რეგისტრაციის ახალი ფორმა დაემატა



მოქალაქის პორტალზე MY.GOV.GE რეგისტრაცია ID ბარათის გარდა უკვე შესაძლებელია მომხმარებლის სახელისა და პაროლის მეშვეობით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ დაასრულა აღნიშნული ფუნქციის პორტალზე ინტეგრაცია, რაც კიდევ უფრო მეტ მომხმარებელს მისცემს საშუალებას ისარგებლოს MY.GOV.GE-ს სერვისებით.

„იმისათვის, რომ გესარგებლათ მოქალაქის პორტალით, დღემდე აუცილებელი იყო გქონოდათ ID ბარათი და ბარათის წაშლითვე იყო. ეს, რასაკვირველია, ზღუდავდა პორტალის მომხმარებელთა არეალს. ამდენად, ჩვენ გადაწყვიტეთ მომხმარებლებისთვის პორტალზე რეგისტრაციის კიდევ ერთი საშუალება მიგვეცა. ეს არის მარტივი ფორმა, როგორც, ვთქვათ, ვარეგისტრირებთ ელექტრონულ ფოსტას, ამგვარადვე შესაძლებელია მომხმარებლის სახელითა და პაროლით პორტალზე რეგისტრაცია. ამის შემდეგ მომხმარებელი შეძლებს ისარგებლოს პორტალის მომსახურებათა უმრავლესობით, ცაკლეული გამოწვევების გარდა.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

პორტალზე სახელითა და პაროლით რეგისტრაციისას მომხმარებელი ვერ ისარგებლებს ისეთი მომსახურებებით, რომლებიც მოითხოვს ციფრულ ხელმოწერას, მაგალითად, ბიზნესის დარეგისტრირება. ამისათვის კვლავ საჭიროა ID ბარათით რეგისტრაცია, თუმცა შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სახის პერსონალური ინფორმაციის მიღება ოჯახთან, ქონებასთან, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე სხვადასხვა სახის ჯარიმებისა და გადასახადების, მათ შორის კომუნალური გადასახადების გადახდა.

მოქალაქის პორტალი MY.GOV.GE წარმოადგენს ონლაინ რესურსს, რომელშიც თავმოყრილია სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ელექტრონული სერვისები. მოქალაქის პორტალი მომხმარებელს საშუალებას აძლევს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად, ელექტრონული ID ბარათის მეშვეობით დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, რამდენიმე მარტივი კომბინაციის განხორციელებით ისარგებლოთ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურების ელექტრონული სერვისებით.



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge

იუსტიციის სახლი

MY.GOV.GE

სახელმწიფო სერვისების ელექტრონული პორტალი

www.my.gov.ge



საპარამეტრო სერვისების განვითარების სააგენტო

www.cra.gov.ge



საპარამეტრო სერვისების განვითარების სააგენტო

www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

საპარამეტრო სერვისების განვითარების სააგენტო

www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლების სასწავლო ვიზიტი ავსტრიაში



მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლები დამმობილების (TWINNING) პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანია საქართველოში ელ-მმართველობის გაძლიერება, 2012 წლი 16-25 დეკემბრს სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ავსტრიაში, ქ. ვენაში.

ვიზიტი მიზნად ისახავდა ავსტრიის ელექტრონული მმართველობის მოდელის შესწავლას, ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხების ანალიზს, სტრატეგიის შემუშავებისა და იმპლემენტაციის საკითხებს. ასევე აქცენტი გაკეთდა ელექტრონული მმართველობის ნორმატიული ბაზის ზოგად მიმოხილვაზე და იმ ინიციატივებზე (პროგრამებზე, პროექტებზე) რომლებიც განხორციელდა ან ამჟამად მიმდინარეობს ელექტრონული მმართველობის სფეროში.

ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები ავსტრიის ფედერალურ კანცელარიაში, პარლამენტში, კომპანია „Fabasoft“-ში, ქალაქის მერიაში, ფედერალურ გამოთვლით ცენტრში, კომპანია „A-Trust“-ში, საჯარო ადმინისტრირების კვლევის ცენტრსა და კომპანია „ATOS“-ში.

„დამმობილების პროექტის ფარგლებში ეს იყო ჩვენი პირველი სამუშაო ვიზიტი პარტნიორ ქვეყანაში. გავმართეთ არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრა ავსტრიის სხვადასხვა სამთავრობო და კერძო ორგანიზაციებში. გავეცანით ავსტრიის ელექტრონული მმართველობის ყველა ძირითად ასპექტს, ეს ქვეყანა კი ამ მიმართულებით მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა. ასევე საინტერესო შეხვედრები გვქონდა ავსტრიის CERT-ში, სადაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივიღეთ თუ როგორ ხდება კიბერ-შეტევების მართვა და პრევენცია.“ - **ნატა გოდერძიშვილი**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი.

დამმობილების (TWINNING) პროექტის მიზანია საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით გრძელვადიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

პროექტის ხანგრძლივობაა 18 თვე. სავარაუდო ბიუჯეტი - 1.2 მილიონი ევრო.

პროექტის ხორციელდება ევროკავშირის „დამმობილების“ პროგრამის ფარგლებში, რაც ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოების საჯარო დაწესებულებების თანამშრომლობას მათ პარტნიორებთან ევროკავშირის ქვეყნებში.

დამმობილების პროექტის შესახებ: ევროკავშირის დამმობილების (Twinning) პროგრამა ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნების ადმინისტრაციული ორგანოების, საჯარო დაწესებულებების თანამშრომლობას მათ პარტნიორებთან ევროკავშირის სახელმწიფოებში. პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ევროკავშირის ქვეყნებში არსებული საუკეთესო გამოცდილების გაზიარება არაწევრი ქვეყნების სხვადასხვა ინსტიტუტებისთვის, რაც ხელს უწყობს ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას.

ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანია



მონაცემთა გაცვლის სააგენტომ USAID-ის დემოკრატიული მმართველობის პროგრამა საქართველოში (G3) მხარდაჭერით ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში 6 შედეგებითი კლიპი გადაიღო. კლიპების შინაარსი ფარავს ინფორმაციული უსაფრთხოების ყველაზე მარტივ, მაგრამ მნიშვნელოვან ასპექტებს, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება.

„ამ კლიპების მიზანია ფართო აუდიტორიას მოვუყვეთ ინფორმაციული უსაფრთხოების იმ ელემენტარული ნორმების შესახებ, რომელთა დაცვაც მნიშვნელოვანია ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც იყენებს ინტერნეტს, სოციალურ ქსელებს, სარგებლოს მობილური მოწყობილობებით, ამოწმებს ელექტრონულ ფოსტას ან სარგებლოს პლასტიკური საბანკო ბარათებით.

ამ, ერთი შეხედვით ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ სიტუაციებს, მრავალი საფრთხე ახლავს თან, რომელსაც ყურადღებას არ ვაქცევთ. შედეგად საფრთხე ექმნება ჩვენს პირად ინფორმაციას. ვფიქრობთ, კამპანიის ფარგლებში მომზადებული კლიპები დადებით როლს შეასრულებს საზოგადოების ინფორმირებულობის საკითხში.“ - **ირაკლი ლომიძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

ცნობიერების ამაღლების კლიპები ქვეყნდება CERT.GOV.GE-ს ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე: <https://www.facebook.com/certgovge>

2013 წლის მნიშვნელოვანი პროექტები



მონაცემთა გაცვლის სააგენტო 2013 წელს არაერთ მნიშვნელოვან პროექტზე გააგრძელებს მუშაობას, რომელიც მოიცავს როგორც ელექტრონული მმართველობისა და მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის, ისე ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებებს.

კვლავ გაგრძელდება აქტიური მუშაობა მოქალაქის პორტალის MY.GOV.GE-ს შემდგომი განვითარებისთვის. 2013 წელს პორტალი არაერთ ახალ მომსახურებას შესთავაზებს მომხმარებლებს. დაგეგმილია შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრისა და შემოსავლების სამსახურის 10-მდე სერვისის დამატება. ასევე, შემუშავებულია პოტენციური სერვისების დამატების წინასწარი გეგმა.

2013 წელს დასრულდება ერთიანი სავაჭრო ქსელის პროექტი. პროექტი გულისხმობს საქართველოში საკონტეინერო გადაზიდვების, იმპორტ-ექსპორტის პროცედურების მართვის სისტემის შემუშავებას. ამ პროექტში ჩართული მხარეებია: საბაჟო, ფოთისა და ბათუმის პორტები, საქართველოს რკინიგზა, გადამზიდავი ხაზები, ტერმინალები. ეს სისტემა დაეხმარება იმპორტიორებს, გადამზიდავ ხაზებს და ა.შ. გაიმარტივონ იმპორტ-ექსპორტის პროცედურები, შეამცირონ ქალაქის დოკუმენტების მიმოცვლა, დაზოგონ სახსრები და ამ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე მარტივი გახადონ ინფორმაციის მიღება.

ასევე პრიორიტეტული იქნება მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება და მხარდაჭერა. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა, საქართველოს სამთავრობო კარიბჭე, არის აპარატურულ/პროგრამული კომპლექსი, რომელიც ქმნის სახელმწიფოს მსაშტაბით ერთიან გეოგრაფიულად განაწილებულ ინფორმაციულ სისტემას. სისტემაში ჩართულ სუბიექტებს საშუალება აქვთ გაცვალონ ინფორმაცია ელ-სერვისების საშუალებით (გაგრძელება გვ. 4).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 3)

2013 წელს აქტიურ ფაზაში გადავა დამშობილების (TWINNING) პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები. გაიმართება 40-მდე თემატური ვორკშოპი, ექსპერტთა სამუშაო ვიზიტები როგორც საქართველოში, ისე პარტნიორ ქვეყნებში.

მნიშვნელოვანი პროექტებია ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებითაც. გაგრძელდება „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, ამ მიზნით სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში შესაბამისი ნორმების დანერგვის მონიტორინგი. ასევე გაგრძელდება საქართველოს კიბერ უსაფრთხოების სტრატეგიაზე მუშაობა, ინფორმაციული პოლიტიკის დოკუმენტაცია და ინფორმაციული უსაფრთხოების ISO სტანდარტების ქართულ რეალობაში ადაპტირება.

კიდევ უფრო დაიხვეწება CERT.GOV.GE-ს მუშაობის სპეციფიკა და გაფართოვდება მისი ფუნქციების არეალი. დაგეგმილია CERT.GOV.GE გახდეს **FIRST**-ის წევრი.

„2013 წელს ჩვენ კვლავ აქტიურად ვიმუშავეთ ყველა იმ მიმართულებით, რომელიც ჩვენი სააგენტოს ფუნქციებში შედის. ვიმედოვნებთ, რომ ერთი წლის შემდგომ, ჩვენი სააგენტო განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე იქნება გადასული.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge;
www.e-government.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “**Subscribe**” ან დაარეგისტრირდით თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “**Unsubscribe**”.